ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-19/011803333384-17-1

11 " 04 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ჭუჩა, №1ა-ში (საკ.კოდი №01.12.12.038.003) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-19/011803333384-17 12.03.2018წ. ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

2018 წლის 12 მარტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შ.პ.ს. „კოლხი"-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ჭუჩა, №1ა-ში (საკ.კოდი №01.12.12.038.003) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე №ბ-19/011803333384-17 12.03.2018წ. ბრძანებით, რომელშიც დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, ბრძანების სამოტივაციო ნაწილში არასწორად მიეთითა ერთ-ერთი დარღვევა „ა-ე" ფასადის მხარეს შენობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს".

სამსახურმა იმსჯელა ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე, შეისწავლა საქმეზე არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები და დადგინდა, რომ №ბ-19/011803333384-17 12.03.2018წ. ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა საჭიროებს ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეეცვალოს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-19/011803333384-17 12.03.2018წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ერთ-ერთი დარღვევა „ა-ე" ფასადის მხარეს შენობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს". ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-19/011803333384-17 12.03.2018წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/01180333384-17

"12" 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა №1ა-ში (საკ. კოდი №01.12.12.038.003) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2060359 31.08.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა №1ა-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-4" და „4-1" ფასადებზე მოსაპირკეთებელია შენობის ძირი. +3.50 ნიშნულზე გაზრდილია რიგელების სიმაღლე. ნაწილობრივ გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე.

„1-4" ფასადი: შენობის ძირში ერთი ბაქნის ნაცვლად მოწყობილია ორი მცირე ზომის ბაქანი. ნაწილობრივ შეცვლილია კარებების და ფანჯრების ნახატი. +13.60 და +16.80 ნიშნულზე „1-4" მონაკვეთში აივნებზე ღიობებში დამატებულია კედლები. +23.20 და +26.40 ნიშნულზე „4¹" ღერძთან შემცირებულია ღიობების სიგანე.

„4-1" ფასადი: შენობის ძირში „3-2" მონაკვეთში მოწყობილია კაპიტალური ფილა და კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. +3.50 ნიშნულიდან ზემოთ „3-2" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების მდებარეობა. +26.40 ნიშნულზე „2-1" მონაკვეთში დამატებულია აივანი.

„ე-ა" ფასადი: ფასადზე გაუქმებულია მინაბლოკები.

შენობის შიგნით შეცვლილია კოლონების რაოდენობა. -2.70 ნიშნულზე კიბესთან გაუქმებულია ტამბური. „დ-ე მონაკვეთში დამატებულია კედლები და შექმნილია ფართი, რის გამოც „დ" ღერძზე „3-2" მონაკვეთში გაუქმებულია კედელი. „დ" ღერძზე „2-1" მონაკვეთში შეცვლილია ღიობის გაბარიტი. „3-4" მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე და ბაქნის ფორმა. +29.60 ნიშნულზე დამატებულია ფრამუგები. სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების მდებარეობა და გაზრდილია წყალშემკრები მილების რაოდენობა. +32.00 ნიშნულზე კიბის უჯრედის სათავსოს ზემოთ დამატებულია კედლები, რის გამოც შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია.

ტერიტორიაზე შეცვლილია პანდუსის და პანდუსის კედლების ფორმა. ასევე გაუქმებულია სანიაღვრე ცხაური.

„ა-ე" ფასადის მხარეს შენობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „კოლხი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა №1ა-ში (საკ. კოდი №01.12.12.038.003) მდებარე

მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01180333384-17 02.02.2018წ. და
№10/0118054644-17 23.02.2018წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01181713427**

თარიღი: **20.06.2018**

თქვენი N19/01181521095-17 განცხადების პასუხად გეგზავნებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

დანართი: სამი ფურცელი.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 19/011815210955-17

19 - 06 2018 წ.

თქვენი N19/01181521095-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ამონაწერი ნახაზები შეესაბამება ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ვახტანგ მახალდიანის ქუჩა, №1ა-ში (საკადასტრო კოდი №01.12.12.038.003) მდებარე ობიექტზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) არსებულ მდგომარეობას.

დანართი: ორი ფურცელი.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გუჯაძე


9000
6290
14697
2100
3638
4645
4681
3984
15200
5150
5300
5293
5560
4799
4700
4700
17397
MK


ტექ-ეკონომიკური მახასიათებლები
განაშენიანების ფართობი: 356.47 კვ.მ.
კ-2 საანგარიშო ფართობი: 184.06 კვ.მ.
სართულის საერთო ფართობი: 164.86 კვ.მ.
კომერციული ფართობი: 142.63 კვ.მ.
კიბის უჯრედის ფართობი: 22.23 კვ.მ.
4563
2969
10785
5308
14900
11453
3350
8300
4700
22.23 კვ.მ.
კომერციული ფართობი
142.63 კვ.მ.
0.00
-0.50 (435.87)
არქიტექტურული ნაწილი
MK